№ 81

ხუთშაბათი, 14 აპრილი 1894

1877—1894

# ივერია

№ 81

ხუთშაბათი, 14 აპრილი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 17 აპრილს.

**მოზრძანდით**

ჯვართან, ვერაზედ

**კახეთის ბაღში,**

სადაც მიიღებთ ჯეროვან სიამოვნებას წმინდა ჰაერითა და ყოველთვის ახალის საჭმელებითა და სისუფთავით.

ბაღს ჩამოუდის გვერდით ვერის წყალი, ზედ გადადგმულია ფიცრის ფარდულები (ბესედკები) და ხეივნები, აგრეთვე ბაღში იშოვება ყოველ დღე ცოცხალი თევზი, ყოველ გვარი საჭმელი და ყველა საუკეთესო ფირმის ღვინო. ბაღში მომსვლელი ნამდვილს ქართულს მასპინძლობას იგემებს.

როგორც ევროპიული, აგრეთვე ქართული საჭმელებიც დიდის სისუფთავით მზადდება და იაფადაც.

შეიძლება შეკვეთა სადილებისა, ვახშმებისა და სხვა.

იმედი გვაქვს, რომ საზოგადოება არ მოგვაკლებს ყურადღებას.

მასპინძლები: ნიკო ჩიკვაიძე და არსენ მიქელაძე. (3—2)

ტფილისის სამუსიკო კრუჟოკში

ოთხშაბათს, 30 აპრილს

მომღერალი—ბარიტონი **კ. ს. ცხომელიძე** გამართავს საღამოს.

წარმოდგენილი იქნება რუსულად:

I

**„დემონი“**

1 სურათი 1 აქტისა

II

**„მასკოტტა“**

ოპერა 2 აქტად მუსიკა ოდრანისა.

ლორანის როლს პირველად რუსულს ენაზედ შეასრულებს ბ-ნი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ე. დ. ორლოვსკისა, ე. ნ. კოვალსკისა, ბოგომოლოვი, სმირსკი.

იდირიჟორებს ი. ბ. ფალიაშვილი.

## ტფილისი, 14 აპრილს

—

თავადი მეშჩერსკი, რედაქტორი „გრაჟდანინისა“, დიდს მწუხარებას აცხადებდა ამას წინად, რომ პეტერბურგის ეკკლესიებში ვერაოდეს ვერ შეხვდებით სამღვდელოება უქადაგებდეს, უხსნიდეს ხალხს მაცხოვრის მცნებასა. მაშინ, როდესაც სხვა სჯულის მქონნი—პროტესტანტები და კათოლიკები უპირველეს ყურადღებას იმას აქცევენ, რომ ცხოველის სიტყვით გადასცენ და ჩაუნერგონ მსმენელს არა მარტო სარწმუნოების შესახები აზრები, არამედ განუმარტონ ცხოვრების უმთავრესნი მოვალეობანი და საჭიროებანი. ჩვენი მღვდლები-კი, განაგრძობს თავადი მეშჩერსკი, საჩქაროდ ათქმევინებენ შეგროვილს ხალხს აღსარებას, და ხშირად დროსაც არ აძლევენ მაზიარებელთ აღმოსთქვან თავისი უგულითადესნი საიდუმლონი, არ უნდათ გაიგონ, რომ ორიოდე ცხოველი სიტყვა ასსა და ათასს კაცს გულს აუძგერებს, სულით აამღელვებს და, იქნება ამ სიტყვამ კვალიც დააჩნიოს მთელს იმის სიცოცხლეს, მთელს იმის ცხოვრებასაო.

გოდება „გრაჟდანინის“ რედაქტორისა სრულიად საფუძვლიანია; ხოლო თუ-კი ასეთი ნაკლებობაა თვით რუსეთის სატახტო ქალაქში მქადაგებლებისა, რაღა უნდა იყოს შიგა და შიგ, სახელმწიფოს შუა გულ ქვეყნებში!

მაგრამ, რამდენად უფრო ნაკლებობა და გაჭირვება უნდა იყოს ამ დიდის მნიშვნელობის საქმისათვის ჩვენში, სადაც სხვა მიზეზთა გარდა—ქართულის ენის უცოდინარობაც ემატება? ძველად, როდესაც ყოველს მონასტერთან სკოლა იყო გამართული, ყოველს დიდის კაცის სასახლეში მღვდელი, ბერი და, თვით ოჯახის პატრონნი ქალბატონნი ასწავლიდა სამღთო წერილს, და სხვა ძველ წიგნებს, რასაკვირველია, არ უჭირდათ ქართულის ენის შესწავლა. ჩვენ თითონ მოვსწრებივართ მღვდლებს, რომელთაც ჩინებულის ქართულის ენით შეეძლოთ ქადაგება. ამ გვარს მომზადებულ სულიერ მამათ, ცხადია დიდი და კეთილი გავლენაც ჰქონდათ ერის სულიერ ცხოვრებაზედ.

იოვანნე ოქროპირი ამბობს პავლე მოციქულის შესახებ, რომ დიდი ღვაწლი დასდვა მან არა სასწაულ-მოქმედებითა თვისითა, არამედ, უწინარეს, დაუცხრომელითა სიტყვით. „სიტყვა არის მახვილი, ამბობს იგივე მოციქული, რომელიც განგმირავს ბოროტებასა და ჰკურნებს სნეულებასა სულისასა“.

მაგრამ ასეთმა მქადაგებელმა-კი უეჭველად ჩინებულად უნდა იცოდეს ენა, რომელზედაც ელაპარაკება მრევლს.

ამის შესახებ მოციქული პავლე ამბობს: თუმცა სიტყვა შენი კეთილ არს, ხოლო უქმ, ვინაიდგან არა შეესმიან ძმასა შენსა, უცხოა იგი მისთვის.

ყოველი ესე ცხადია მოციქულის ავტორიტეტის უმისოდაც, მაგრამ, სამწუხაროდ, საქმე მაინც საქმედ რჩება და ჩვენ დღეს არა გვყავს ხალხისათვის მომზადებული და კარგის ქართულის მცოდნე მქადაგებლები.

ყოველის საგნის ცოდნას, მეტადრე ენისას, სადაც მთელი ხასიათი სიტყვისა იცვლება ერთის უადგილოდ ნახმარების ლექსის გამო, სჭირია შესწავლა და შეგნება საფუძვლიანად, ბეჯითად. მაგრამ ქართულის ენის საქმე ჯერ არც ერთს ჩვენს სასწავლებელში არ არის წარმართული იმ გვარად, რომ მოგვემზადებოდა კარგი და საჭირო მქადაგებელნი.

მეველე

## ახალი ამბავი

—

*** გაზ. „Тиф. Лист.“-ს დეპეშით აუწყებენ პეტერბურგიდგან: მინისტრმა კომიტეტმა განიხილა საქმე ბათუმს ახლო სადგურ ჩაქვისთან მდებარე მიწის ნაჭრებისა, რომელნიც ამ ჟამად კერძო კაცთა ხელშია, და ამასთან ერთად საქმე საზოგადოდ ბათუმის ოლქში მიწების გასყიდვისა, და იმ აზრს დაადგა კომიტეტი, რომ ჩაქვის მიწა ხაზინის საკუთრებას შეადგენს, აწინდელნი მისნი კერძო მფლობელნი უკანონოდ ჰფლობენ, რის გამოც მათ წინაალმდეგ საჩივარი უნდა იქმნას დაწყებული დადგენილის წესით. ამასთან კომიტეტმა დაინახა, რომ სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს ადგილობრივს აგენტებს სრულად კანონიერად უმოქმედნიათ, როდესაც განუზრახავთ ხაზინის მიწის დაცვა კერძო კაცთა დაპატრონებისაგან.

## ფელეტონი

—

### „ურწმუნო მოშა“

(ლეგენდა)

ოთხი წლის პატარა გოგონა სულთმობრძავი იდო ლოგინზე. მის წინ სამფეხა დაბალ სკამზე ჩამომჯდარი დედა დასჩერებოდა მამაკვდავ შვილს და ღაპა-ღუპით გადმოსდიოდა ცრემლები. თუმცა სცდილობდა ხმა არ ამოეღო და ჩუმად ეტირა, მაგრამ ხანდისხან ისე ამოუჯდებოდა გული, რომ თავს ვერ შეიკავებდა და მოჰყვებოდა საცოდავად სლოკინს.

ყმაწვილს სანამ ღონე ჰქონდა ეხვეწებოდა დედას ნუ სტირიო, მაგრამ ეხლა-კი სულთმობრძავი მხოლოდ ამასღა ახერხებდა, რომ გაიგონებდა თუ არა დედის კვნესას, გაახელდა უსიცოცხლოდ მიბნედილ თვალებს და თავს გააქნევდა.

მართლაც საცოდავი სანახავი იყო ეს ორი დედა-შვილი. საბრალო მომაკვდავს ოქრომკედივით მობზიალე ყვითელი ხუჭუჭი თმა შუბლზე ჩამოსწეწოდა და, სიმწრის ოფლისაგან დასველებული მისწებებოდა ერთმანეთს; სიცხისაგან გამხმარ ტუჩებიდამ სისხლი გადმოსდიოდა, პირი გაელო და უმოძრაოდ მდებარეს ცხვირის ნესტოები ძალზე ებერებოდა... გაზაფხულის დრო იყო. ახლად გამოჩეკილი ბუზები უხვად ესეოდნენ ავადმყოფის გამხდარსა და გაყვითლებულ სახეს, რომელიც სრულიადაც ვერ ჰგრძნობდა იმათ მიკარებას. დედა ერთის ხელით ცრემლს იწმენდდა და მეორე ხელით ტირიფის შტოს ეჭირა, რომ თავის ძვირფასი შვილისათვის ბუზები მოეგერებინა.

ყმაწვილს, რაც დრო მიდიოდა უარესობა ეტყობოდა. კისრის ძარღვები ისე ხშირად უცემდა, თითქო დაწყვეტას ლამობსო. თვალებზე თეთრი ბინდი გადაედო და ხან ისე წამოიკივლებდა, რომ კაცს ეგონებოდა მკერდი ამოიტანა თანაო.

— წყალი არ გინდა, შვილო, რახილ, წყალი? ჩაჰკითხა საბრალო დედამ.

ბოვშს რომ ჩაესმა დედის ხმა, უნდოდა შეეხედა მისთვის, მაგრამ თვალები ველარ გაახილა, მხოლოდ აშკარად ეტყობოდა დახურული უპეებს შიგნით თვალებს ატრიალებდა და წარბებსაც მაღლა სწევდა.

საცოდავმა დედამ მოუმატა ტირილს. იმედ დაკარგულმა აიღო შვილის უმოძრაოდ მდებარე პაწაწა ხელი და დაუწყო კოცნა; ხან გულში იკრავდა ყმაწვილის ხელს, ხან ლოყაზე იდებდა, მაგრამ თითები არ მოძრაობდნენ. ბოლოს აიღო წინდის ჩხირი, შვილის პაწაწა ფრჩხილებს დაუწყო წმენდა და ზედ აფრქვევდა მდუღარე ცრემლს.

— უთუოდ ავად გახდომის წინა დღეს რომ დერეფანში თამაშობდა ჩემი რახილი, მაშინდელია ეს ფრჩხილებში ჩამჯდარი მიწა.—ჩაილაპარაკა თავისთვის გულ-მოკლულმა დედამ და მარცხენა მხარეს მიიბრუნა თავი, რომ დაენახა რახილის სათამაშოები, სადაც ერთად მოგროვილი ეყარა წვრილი ლამაზი კენჭები, სხვადასხვა ჭიქის ნამტრევები, თეთრი ჯოხი, რომელსაც რახილი ცხენის მოვალეობას ასრულებინებდა, პატარა სამფეხა სკამი და წითელ მეშგადაკრული პატარა სარკე, რომელიც კოჭლმა მეწვრილმანემ აჩუქა, ან უკეთ, რომ ვსთქვათ ძალად იჩუქა რახილმა, რადგან რა-კი თვალი მოჰკრა ბოხჩაში წითელ სარკეს, მანამ ხელთ არ იგდო კინაღამ ტირილით თავი მოიკლა.

ყველა ესენი ტახტის ახლო ეწყო და დაჰყურებდა დედა, მაგრამ ვაი იმ შეხედვას, რასაც ის უყურებდა და რასაც იმ საბრალო ქალის გული გრძნობდა.

უზნეო ქმრისაგან დაჩაგრულ სარრას, ეს ერთად ერთი ნუგეში შვილიც ეკარგებოდა და ორ-გვარი მეხი ეცემოდა თავზე, საბრალო დედაკაცს.

მახლობელ ებრაელთა შორის იშვიათად იპოვებოდა ცოლ-შვილზე ისეთი გულ-გრილი კაცი, როგორიც იყო მოშა. ის თუმცა იმ დროინდელ წულის მკერავთა შორის პირველ მოხელედ ითვლებოდა, თავის საკუთარი დუქანიც ჰქონდა იერუსალიმში და მუშტარიც ბლომად ჰყავდა, მაგრამ თავის ნაშრომ-ნაღვაწს ვინ იცის სად და რისთვის ფლანგავდა იმ დროს, როდესაც მისი ანგელოზივით ცოლშვილი შინ მშივრები იყვნენ. გულჩათუთქული სარრა საყვედურის თქმასაც არ შეჰკადრებდა თავის ქმარს. იყო მუდამ მოთმინებით, ნუგეშობდა პატარა რახილით, განუწყვეტლივ ხელსაქმობდა, ქსოვდა წინდა-პაჭიჭებს და კაი ფასად ჰყიდდა. შინაურ წვრილფეხს ხომ ანგარიში არა ჰქონდა იმდენი ჰყავდა სარრას. ქცევა ნახევარ ეზოში, თითქო მეომართა ჯარიაო ისე რიგ-რიგად და სწორედ იყვნენ გამწკრივებული: ინდაური, ბატი, ქათამი და იხვი წიწკნიდნენ ახლად წამოსულ მოლს თავ-ჩაღუნულები და თითქო ვერც-კი იცნობენ ერთმანეთს, ან ერთის პატრონისანი არ არიანო, არ ეკარებოდა ერთი გუნდი მეორეს. ვაი მისი ბრალი, თუ რომელიმე იხვი, ან ბატი ინდაურების კრებაში შეერეოდა. ვერ წარმოიდგენთ რანაირ საცოდავს და თანაც სასაცილო სურათს წარმოადგენდა მათი ომი. ეს ამოდენა ინდაურთა სიმრავლე ფრთა კუდ გაშლილი და ხორთუმ ჩამოშვებულები ხან ერთი შეახტებოდა თავსა და ზურგზე თავის მსხვერპლს და ხან მეორე. სწიწკნიდნენ, ისმოდა საშინელი ინდაურების ყაყანი და როდის, როდის შეხედავდით, იხვი იყო, თუ ბატი თავპირ გასისხლიანებული, დაკოდილ დაკაწრული მობარბაცებდა, რომლის თეთრი ბუმბულებით მოფენილი იყო მათი მწვანე ბრძოლის ველი.

პატარა რახილს, განსაკუთრებით უყვარდა ბატის ჭუკები. დაინახავდა თუ არა ახლად გამოჩეკილ ყვითელ ჭუკებს თითონაც შიგ გაერეოდა. უნდა გეყურებინათ მისთვის, როდესაც მამალი ბატი სისინით გამოეკიდებოდა, ჩაავლებდა წითელ პერანგის კალთაში ნისკარტს, მორბოდა ღრიალით რახილი სახლისაკენ და თან მოათრევდა ბატს, რომელიც არ უშვებდა პერანგის კალთას. სარრა იცინოდა და თან ნიშნის მოგებით ეუბნებოდა შვილს, რომ ჩემი რჩევა არ დაიჯერე და ხომ ხედავ ბატმა კინაღამ შეგჭამაო.

საბრალო დედას, ყველა თავისი წარსული ბედნიერება თავის რახილთან ერთად განვლილი თვალის წინ წარმოუდგა, სული შეეხუთა და საშინელის თავ-განწირულებით დაახეთქა ტახტს თავი.

— რომ არ ამოდის ეს ოხერი სული! რაღა მრჩება სანუგეშო, რატომ არ ვკვდები. ძლივს გასაგონად წარმოსთქვა სარრამ.

ამ დროს მოშამ შემოაღო კარი და შემოვიდა.

— როგორ არის რახილი? ჰკითხა ცოლს.

— ძალიან ცუდად, მიუგო ცოლმა და შეაშტერა ცრემლიანი თვალები ქმარს, რომელიც ცოტა ხანს დასჩერებოდა ყმაწვილს, შემდეგ მივიდა თაროსთან და საჭმელს დაუწყო ძებნა.

— რა ჰქენი მოშა იმისი, რაზედაც გაგგზავნე, მოვა თუ არა ნა-

*** 11 აპრილს, ღამის 4 საათზედ ტფილისსა და ნავთლუხს შუა 292 ვერსზედ მატარებელმა გასრისა ტფილისის არტელერიის ჯარის მოხელე ივანე მოროზოვი. მატარებლის მემაშინემ განაცხადა, რომ მე თითონ დავინახე, როდესაც ის გამოექანა და ძალათი ჩავარდა მატარებლის ქვეშაო.

*** ბათუმი: 10 აპრილს ღამით როდესაც 72 ვერსის რკინის გზის დარაჯი ელოდა სახალხო მატარებელს № 2 გავლას, დასძინებოდა და თავი ლიანდაგზე დაედვა. მატარებელმა მოასწრო და თავი ძრიელ დაუშავა, ასე რომ მორჩენის იმედი არა აქვსთ.

*** სიღნაღი. მარტის 28-დგან აპრილის 8-დე სულ გადუღებლივ სწვიმდა აქეთ. აპრილის ხუთს ხომ თოვლით მოირთო ჩვენი სიღნაღის არე-მარე. ამ ავდრების მიზეზი, რომ ვენახები შეუმუშავებელი დაგვრჩა და გუთნები გაუტანელი. ამ აპრილის რვიდანვე გაიშალა ხალხი სამუშაოდ და კარგის ტაროსის წყალობით მოედო ვენახებ-მინდვრებს. ჰხვნენ, ჰფარცხავენ, სარვენ, და ჰბარავენ. ოთხ-ფეხ საქონელსაც ამოუცენდა მშვენიერი მწვანე მობიბინე ბალახი. ნამეტნავათ ცხვარ ბატკნებს დაუდგა კარგი ამინდი. ჩვენკენ ძვირობაა და ამ სიძვირესთან საშინელი უვაჭრობაც ზედ დაერთო.

*** იქიდამვე: ამ აპრილის 9-ს გამოეთხოვა თავის თანა მსახურთ სიღნაღის მაზრის ხაზინადარი. ი. ა. გოზალოვი. იგი ყველას დიდსა და პატარას, გლეხს, თავადს, აზნაურს, ერსა და მღვდელს, ერთ ნაირად სიყვარულით და ძმურად ეპყრობოდა და ხალხის ნდობა და სიყვარულიც შეიძინა.

*** გაზ. „Русская Жизнь“-ი ამბობს, რომ სპარსეთის მთავრობამ ამას წინად დაამტკიცა კონცესია ტვირთის გადამტან საზოგადოებისა, რომელიც ენზელსა და თეირანს და თავრიზსა და თეირანს შუა იმოქმედებსო. ამ საზოგადოებას ხსენებულ ადგილებში გზად გამართული ექმნება სამუდამო საწყობები საქონლისა და გადიტან-გადმოიტანს ორსავ მხარეს რუსეთისა და სპარსეთის საქონელს და სხ. ეს საზოგადოება დაუარსებიათ მოსკოვის ფულიანს კაცებს.

*** აფხაზეთი. (კოდორის ნაწილი): ჩვენში როგორც ხალხის, ისე მოვაჭრე კაცთა სამწუხარო ის არის, რომ სიმინდის ფასი ძლიერ დაეცა. ჩვენს მხარეში ყოველ გვარი შემოსავალ-გასავალი სიმინდზეა დამოკიდებული. ზღვაზე ჩატანილი სიმინდი ახლა ორ აბაზად ჰფასობს ფუთი და არის იმისთანა ადგილები, და სოფლები, რომ ზღვამდე ჩასატანი ურმის ქირა მოუნდება თუთხმეტი კაპეიკი, ისე რომ სიმინდის პატრონს ხუთი შაური დარჩება. თუ სიმიდის ფასმა არ აიწია, დიდ განსაცდელში ჩავარდება ჩვენი მხარე, რადგანაც სიმინდია ჩვენი თავი და უპირველესი წყარო ცხოვრებისა.

ქურდობის შესახებ ძალიან მოსვენებულნი ვიყავით დღემდე, ასე რომ ამ ახალი წლიდგან კაცი არ იტყოდა, რომ დამეკარგა რამეო. ჩვენდა სამწუხაროდ, მხოლოდ ამ უკანასკნელ დროში თითო-ოროლა შემთხვევამ იჩინა თავი.

*** ჩვენ მივიღეთ მე IV წიგნი თვიურის ჟურნალის «მოამბე»-სი შინაარსი შემდეგი: „მოკვეთილი“, დრამა 5 მოქმედებად ვაჟა-ფშაველასი; „ტარტარენ ტარასკონელი“, მოთხრობა ა. დოდესი, თარგ. ი. მ—ნისა; „პასუხი“ ლექსი აკაკისა; „ანდრე კორნელი“. რომანი პ. ბურჟესი, თარგ. გ. ყიფშიძისა (გაგრძელება); „კრიალოსანი“, ამბავი მელანიასი; „მწყემსი“, ლექსი ჰეინესი, თარგ. ი. ბაქრაძისა «გვნესა». მოთხრობა ქ. ალგრენისა, თარგმანი ნინა —მისა... «მეფე დავით აღმაშენებელი» მონოგრაფია ნ. ურბნელისა (დასასრული); „დვინის დაყენება“, პროფ. ვ. პეტრიაშვილისა (გაგრძელება); „დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება“, ნ. ყიფიანისა; „ახალი გზა-კვალი ქართული გრამატიკის კვლევა ძიებისა“ გ. დოდაშვილისა; ქრონიკა: „უცხოეთის მიმოხილვა“, ნ. ნიკოლაძისა.

*** 11 აპრილს გალავინის პროსპექტზედ მიმავალს ჯარის კაცის ცოლს დარია ვიტკინას გული წაუვიდა და ქუჩაზე დაეცა. ქალი სამკურნალოში წაიყვანეს და გზაში გარდაიცვალა.

## დამაკვირდი

სული ადამიანისა უფრო ზარმაცია, ვიდრე სხეული.

ლაროშფუკო

**

თუ პატიოსანია შენი ცოლი, რაღად სდარაჯობ? თუ ქარიანია, დარაჯობა რას გარგებს?

**

გრამატიკა მეფეთაც-კი იმორჩილებს.

მოლიერი

## პოეტის რისხვა

ჩუ! ჭია-მატლთა ყვირილო,
წუთის ჭირის და ლხინისავ,
ჩუ! ნადირ-ლომთა ღრიალო
თავს-ზარ დამცემო ტყანისავ;
ჩუ! ომო, შექცავ საზარო,
მეხო, გამპობო ტინისავ,
ჩუ! ქარ-ღვართქაფო შემზარო
ზღვა-ხმელეთ ფოლად-რკინისავ!
მე ცამ მომგზავნა ამიერ,
უძლევთა ძალთა მპყრობელი,
მომცა მეფობა გრძნობისა,
ავ-კარგის გასაზომელი,
სიბრძნის მიგნებს უშრეტი,
ცა ქვეყნის გამომცნობელი,
ნიჭი—ხმელეთის დამძლობი
და ზღვისაც დამშრობელი!
ზეცის მაღ-მაღლმა არგუნა
ჩემსა პირსა და ენასა:
გამოიტყოდეს ძლიერად
ქვეყნის ჭირსა და ლხენასა,
თვლემას უფრთხობდეს დუნიას,
არ უძინებდეს სმენასა,
ხან ზღვასებრ ამღელვარებდეს,
ხან ჰკვრიდეს ცრემლთა დენასა.
მე მაღ-მიმს მთელსა ქვეყანას
გულ-გონი ავურეტინო,
დამწვავრულთ ცის-სადგურნი
დანაგრულთ დავალეწინო,
მეფე მეფესა შევტაკო,
ხალხს ხალხი გავაჟლეტინო,
ქვეყნის საქმე და სულდგმულნი
სისხლის ზღვას წავალეკვინო!..
თვით მევე მაღ-მიმს, პოეტსა,
ბრიყვს სიბრძნე შევაგნებინო,
მტერს მტერი დავუმოყვრასო,
ვეთილი მოვაქმედინო,
ეშმაკებს ანგელოზობა
ვანატრო, ვაწამებინო,
ქვეყანა მოვარჯულ-ღმერთო,
ცას ოქრო ვაწვიმებინო!
ოდეს ვმეტყველობ, ფრინველნიც
გარს მეხვევიან ცისანი,
ველნიც სასმენლად მოდიან,
ოთხფეხნიც მიწა-ზღვისანი,
ჭკვასა სწავლობენ პირუტყვნიც,
მავნენი, ბატის ჭკვისანი,
ცოდვა-მადლის გრძნობათა
ევსებათ გულნი ქვისანი.
მომმეთა სიკეთისათვის
თავიც-კი დამვიწყებია,
საქვეყნო ფიქრში ღამეებს
ვათენებ, მითენებია,
მშიერ-მწყურვალიც ვყოფილვარ,
ათასი ცეცხლიც მდებია,
მაგრამ სიკვდილი ქვეყნისთვის
უსაზღვროდ მომწყურებია.
ვარ მაცხოვრის მოწაფე
საგმიროდ მოვლინებული,
ქვეყნის ჭირით და ლხინით
ცამდე გულ-აზღვავებული,
სამოთხე-ჯოჯოხეთისა
შემქნელად დაბადებული,
აწ და მარადის, აქ და იქ
უკვდავი, სახელ-ქებული.
ჩემსა ნახვასა ნატრობენ
მიწიერნი და ციერნი:
ქალწულნი ედემს ნაზარდნი,
ველის ვარდივით მღვიერნი,
დიდი, პატარა, მოხუცნი,
დიდებულნი და ძლიერნი,
ძრწიან, დრტვინავენ ჩემგანა
ეშმაკნი, მგელნი, ცბიერნი.
შენ, ამის შემძლეს, იუდავ,
როგორ მიბედავ მტრობასა,
მჭორავ, ცილსა მდებ პირს უკან,
მწამებ: მხეცობა-მგლობასა,
სამართლე-რჯულის არ ცოდნას,
სირეგვნე-უნიჭობასა,
ქვეყნისა მავნებლობასა.
ჩემსა სიტყვისა ლახვარსა
უგმირავს შენთვის გულია,
შურით და მტრობით იწვები,
საქმე გწადს ვერაგულია:
მაღზე გწყურიან მიხიდო
ავაზაკთ ჯვარზე ცმულია,
მაგრამ თვით შენვე დაგამხობს
შე ცდა და ფიქრი კრულია.
გიცნობ, იუდავ, წყეულო,
ცრემლი რო მოგდის თვალზედა,
ვითომც გიყვარდეს სამშობლო,
იმდუღრებოდე მაზედა,
გულ-შემატკივრად ჰკსუბრობ
იმის შავ ბედ-იღბალზედა,
მაგრამ-კი მალვით სამშობლოს
გრომად გაჰყიდი სხვაზედა!...
მრავალნი გვყვანან აქრები
სხვა-და-სხვა ხარისხოსანნი:
გრძელ-წვერა ყავარჯოსანნი,
ჯაგლაგი მეცნიერები,
მჯდაბავნი, მალად მგოსანნი,

---

ზარეველი? ჰკითხა ცოლმა.

— რა ბრიყვი ხარ? ღიმილით მიუგო მოშამ.— შენს ნაზარეველს თუ რამე შესძლებოდა, თავის თავს უშველიდა. რატომ ხართ ქალები ასე ჭკუა მოკლე, რომ ყველა ჭორს ერწმუნებით?

— როგორ თუ ჭორს. განა ნაზარეველის საქმეები ჭორია? განა ცოტანი განკურნა კეთროვანნი და ბრმანი? განა ლაზარე მკვდრეთით მან არ აღადგინა? ან რა სჭირს იმას ისეთი, რომ თავს უშველოს? შენ დაგეზარა წასვლა და გინდა მის მოქმედებას ჭორი დაარქვა. გეთქვა შე დალოცვილო თუ არ წახვიდოდი, ისრაელის გავგზავნიდი და ვაპოვნინებდი სადმე! აბა ეხლა რა წყალს მივსცე თავი, სად ვიპოვნო ნაზარეველი, ვინ იცის იერუსალიმშია თუ არა. ოხ ღმერთო, რა ცოდვილი ვყოფილვარ!.. ტირილით ამბობდა სარრა.

— ვნახე კიდეცა და ნელ-საცხებელიცა ვცხე... დაცინვის კილოთი წარმოსთქვა მოშამ.

— მართლა, შენი ჭირიმე? მერე როდის მოვა? იმ ეთის სიხარულით წამოიძახა სარრამ თითქო ეს არის თავის შვილს ფეხზე ამდგარს შეხედაო.

— დიახ, ვნახე, მაგრამ მოსვლით-კი ვერ მობრძანდება.

— რატომ?

— იმიტომ, რომ წუხელის შეიპყრეს და დღეს ჯვარს აცვამენ. მაშ, შენა გგონია შერჩებოდა ხალხის აჯანყება და თავის ღმერთად გამოცხადება? ჯერ კეისარიაც არ ამბობს ღმერთი ვარო, თორემ ეგ ვინა ბძანდებოდა, რომ ღმერთი ვარო იძახდა, ისე შეუპოვრედ ელაპარაკებოდა მღვდელ-მთავრებსა და თვით პილატესაც-კი.

— ვინ შეიპყრო, რისთვის შეიპყრეს? ეკითხებოდა სარრა გულ-გახეთქილი.

— ვინა და კეთილ სინდისიანებმა. ყველა შენსავით ხომ არ ერწმუნება იმის ცრუ-ქადაგებასა და საქმეებს. იმავე დაცინვის კილოთი მიუგო მოშამ.

— მე მართალია ვერწმუნები და ძალიან საფუძვლიანიც არის ჩემი რწმუნება. ერთი ეს მითხარი, შენ სად ნახე, ან როგორ? იქნება ტყუილი გითხრა ვინმემ.

— დიახ ტყუილი... ტყუილი-კი არა და მართალია. არა გჯერა ნელ-საცხებელი ვცხე მეთქი?

— მე შენი ვერა გამიგიარა შესძახა სარრამ გულ-გაცეცხლებით.— თუ არ ერწმუნები, ნელ-საცხებელს რისთვის სცხებდი, მაგრე მხოლოდ მორწმუნენი იქცევიან და არა ისინი ვინც მას უარ-ყოფენ.

— თუნდა ეგრეც იყოს—მიუგო მოშამ—ეხლა ყური დამიგდე და გიამბობ, როგორც იყო საქმე: როცა აქედგან წავედი, მართლაც მინდოდა მენახა ნაზარეველი. მივედი ჩემ დუქნთან თუ არა, ერთი ჩემი მუშტართაგანი შემომხვდა და მისაყვედურა, რომ სამი დღეა წუღა გამოგიგზავნე დასაკერებლად და არ გამიკეთეო. მე უთხარი, ეს სამი დღეა არ მივკარებივარ დუქანს და ვერც დღეს და ხვალ გაგიკეთებთქო.

— დღეს და ხვალ-კი არა, თუ ძმა ხარ ეხლავე მომეცი თუ არ დაკერებული, დაუკერებელი მაინც, რადგან დღეს კაი სეირის საყურებლად მინდა წავიდე, ცოტა მოშორებით არის და ისევ ეგ წუღები უფრო გამიძლებს სანამ ესენი, რომელიც ფეხზე მაცვია; ხომ ხედავ ძირები სულ ერთიანად გაცვეთილი აქვსო.

— არ იყოს ცოტა შევწუხდი, რომ ჩემს მუშტარს ვერც დაკერებულს მივცემდი წუღას და, ვერც დაუკერებელს, რადგან სხვა ჯღანებთა შორის კასრში იყო ისიც დამბალი, რომელიც იქვე დუქნის დერეფანში კუთხეში იყო მიდგმული.

— რა გეჩქარება კაცო ეგრე, ან რა სეირის საყურებლად მიდიხარ? ვკითხე მე. მას უნდოდა პასუხი მოეცა, რომ საოცარი ხმაურობა შემოგვესმა.

— აი მოდიან კიდეცა; წარმოსთქვა ჩემმა თანამოსაუბრემ და გაიხედა ქუჩისაკენ.

ამ დროს გამოჩნდა ხალხის გროვა, რომელსაც მრავალი პატარა ბიჭები კივილ-ჩხივილით და სიცილ-ხარხარით მოსდევდნენ და ისროდნენ ქვებს. ხალხთა შორისაც მრავალი ოხუნჯობა და სიცილი იყო, თუმცა-კი ზოგიერთები თავ-დახრილი და მოწყენილი მოდიოდნენ, თითქო ცხედარს მისდევენო. ერთი მოხუცი ქალი და ორიც სხვა საშინელ მდუღარე ცრემლებსა ღვრიდნენ. მე გასტერებული ვიდექი, შევყურებდი ჩვენკენ მომავალ ხალხსა და არ ვიცოდი-კი რა ამბავი იყო.

ისინი, კიდეც მოუახლოვდნენ ჩემს დუქანს, რომ ერთმა მათგანმა სთქვა: სჯობიან ცოტა დავისვენოთ, თორემ ჯერ კიდევ დიდი მანძილი გვაქვს გასავლელი ისიც აღმართი და მეტისმეტად დავიღალებით. ხალხი ერთხმად დაეთანხმა და გადმოუხვიეს ჩემი დუქნისაკენ. ამ დროს დავინახე ერთი კაცი, რომელსაც ფეხებზე რკინის ბორკილი ედო, თავზე ეკლის გვირგვინი ეჯგა, საიდგან ჩამოწყვეტილს პირისსახიდგან გადმოსდიოდა სისხლის წვეთები და მკერდზედ ეცემოდა. მაგრამ ისე დამშვიდებული იყო, თითქო აქ არაფერი ამბავიაო. იღიმებოდა კიდეცა, როცა დიდი და პატარა სახეზე ნერწყვავდნენ და ხან ერთი სცემდა და ხან მეორე.

ვიკითხე: ვინ არის ეს კაცი, ან რა მიზეზისათვის ექცევით მაგრე მეთქი?

— ნუ თუ არ იცი ვინ არის და, რად ვექცევით ასე? ლამის კეისარი ტახტიდგან ჩამოაგდოს ნაზარეველმა და, ვინ არის არ იცი? ქვეყანას თვალი აუხვია თავის ოინებით, რაებს არ ჩადიოდა ვინ იცის და აი ამ კაცმა, რომელმაც თავისი თავი ღმერთად წარმოუდგინა ხალხს, იმდენად დააბრმავა ყველანი, რომ გზაზე როცა მოდიოდა, ფიანდაზებს უშლიდნენ და ნელ საცხებელსა სცხებდნენ. აბა ეხლა იპარპაშოს ისე, ვნახავ, რაც ღმერთია და, როგორ წავა ჩვენი ხელიდგან. მიპასუხა ერთმა.

მე არ მენახა ნაზარეველი. დღეს პირველად ვნახე და ეხლავე ვიცან რაც შვილი არის. უნდა გამოგიტყდე, რომ საშინელი სიძულვილი ვიგრძენ იმ კაცისადმი. ან როგორ არ უნდა შემძულდეს ისეთი კაცი, რომელიც ამბობს: მე ძე ღვთისა ვარ, ცა და ქვეყანა ჩემს ხელთ არისო; ათას ნაირი ჯადო-ქრებით ხან მკვდარს აცოცხლებს ხან რას შვრება და ხან რასა და ეხლა-კი ჯვარზე უნდა აცვონ. განა თუ ცისა და ქვეყნის მპყრობელი იყოს თავს ვერ უშველიდა?

— რაებს ამბობ კაცო, შეუტია სარრამ.—გეტყობა შენც გიხარიან, რომ ნაზარეველი დაიჭირეს. რაღა ეშველება აწი ხალხს,—ვინ იქნება მათი ნუგეშის მცემელი? ღმერთო, ღმერთო ეს რა მესმის; ღირსია დედა-მიწა გასქდეს და თან ჩაიტანოს ყველა ისინი, ვინც ეგ საქმე მოახდინა. შვილო რახილ, რა ვქნა, სად ჯანდაბას წავიდე იძახდა სასოწარკვეთილებით საბრალო ქალი.

— ვიცი, რომ შენ დიდი თაყვანის მცემელი ხარ ნაზარეველისა და მეც შენი პატივისცემისათვის ისე ღირსადაც მივიღე როცა ჩემი დუქნის წინ საძირკველზე ისიც დასვეს.

— სიძულვილით გამსჭვალულს,

ხმალ-ხანჯლიანი დევები,
გილდიასან-პატენტოსანნი;

გხედავთ სეფეღას, იუდას,
ჭამისთვის დაბადებულნო,
ეშმაკის ძუძუთ გაზრდილნო,
ქაჯებთან დამოყვრებულნო,
თეთრ-ბილიანნო, გულ-შავნო,
ღვთისაგან მოძაგებულნო,
გრძნობით, გონებით, სინდისით,
მიწამდის დამდაბლებულნო!...

ნირად არ ჰღირხართ, თავი-კი
მეფე და ბრძენი გგონიათ,
უწკვლ-უტვინო გოგრები
ბზე-ღვარძლით სავსე გქონიათ;
უნიჭო ლეშნო, სარწყნად
ღალატი მოგიგონიათ,
მაგრამ ვაჲ თქვენდა, ვერაგნო,
ბედი მატლისა გქონიათ:

თქვენთვის არ იგლოვს ქვეყანა,
არც სიტყვებს გეტყვით წყლიანსა,
არცა დიდების გვირგვინებს
მოგიძღვნით ვარდებიანსა,
არც ისტორია დაგითმობთ
უკვდავთა ადგილს მზიანსა
არც გარდმოცემა ერისა.
გიწოდებთ თავისიანსა;

გაჰქრებით მატლნი მატლურად,
დაგივიწყებენ ყველანი,
ვინც-კი გიცნობდნენ უბანში
დათვნი, მგელნი, თუ მელანი;
არ დაგივიწყებთ პოეტი,
კვალზედ გდევთ, ვითა მერანი,
შერცხვენის ბოძზედ მიგბოჭავთ
მისი რისხვა და მღერანი!

გაგაცნობ თქვენს თავს ქვეყანას:
შავს პირში გაფურთხებინებ,
თქვენს სისხლს ყვავ-ყორანს შევასმევ,
ლეშს ნადირთ შევათქვლეფინებ,
სულს ჯოჯოხეთში მიგაცემთ
ცეცხლ-ნავთში გაწამებინებ,
და ქვეყნას რისხვას თქვენს სახელს
სულ ზიზღით ვაგინებინებ!...

დ. მაჩხანელი

## კორესპონდენცია

**ბოჟი-პრომისლი**, 7 აპრილს. მარტის უკანასკნელ რიცხვებში დანიშნული „თევზის ვატაგების“ იჯარით გაცემის ვაჭრობა გათავდა, მაგრამ მაგდენ ვერაფრად, რადგან ბლომად დარჩნენ „ვატაგები“ აუღებელნი. როგორც მოსალოდნელი იყო და კიდეც გწერდით ამას წინად, ვაჭრებს ამ ხნობით მხოლოდ ბანკის „ვატაგების“ გამო, რომელიც ზღვიდგან პირველია, ამის აღების მსურველი მხოლოდ ორი ამხანაგობა იყო, ი. ე. ფითოევისა და შეერთებული თაღიევ-ლიონოზოვი - ფრიდონოვისა. გამარჯვება ისევ ფითოევის ამხანაგობას დარჩა, ამათ აიღეს იჯარა 652000 მანეთად, წინად-კი 503000 მანეთად ეჭირათ. დანარჩენი კარგ ფასიანი „ვატაგები“ბოჟი პრომისლი(131200) ხილლა 43000 მ., ნიკოლაევსკია, (19031 მ.) ბალდანოვსკა (103200) და აკუშა 111255 მ. არავის აუღია, ამათზედ იქნება ხელ-მეორედ ვაჭრობა და ფასი დაიწევს. უკანასკნელ ორ ვაჭაგასაც არ გაუშვებს ფითოევის ამხანაგობა, ეხლაც ამათ ხელშია, და კარგა ხანია უჭირავთ კიდეც, 1879 წლიდგან მოკიდებული დღემდე უმთავრესი და შემოსავლიანი «ვატაგები» ამათ ხელშია ენახოთ ვის დარჩება დანარჩენი «ვატაგები“, თუ სულ ერთის ხელში ჩავარდა, ბევრი მოსამსახურე გამოეთხოვება თავისს ალაგს.

17 მარტს ამოვარდა საშინელი ქარი ჩრდილოეთ-დასავლეთიდგან (ნორდაოსტი) და დიდი ზარალი მისცა ზღვის მეთევზეებს. ზღვა საშინლად აღელდა,საზარლად ჰღმუოდა,ტალღას ტალღაზედ სცემდა დ ისროდა ნაპირზედ წინწკლებს კურინის კონცხისაკენ, სადაც სცხოვრობენ მხოლოდ მეთევზეები, ბევრს მოასწრო ღელვამ ზღვაში, რომელთაც თავს უშველეს და გასწიეს სარას კუნძულისაკენ თავ შესაფარად. მეთევზეთაგანი არავინ დამრჩვალა, ყველანი გადარჩნენ, მხოლოდ ერთი მუშა თათარი სიცივისა და ელდისაგან გაიყინა ნავში; მაგრამ ზარალი-კი მეტად დიდი მისცა. ამ ქარმა დაანგრია მეთევზეების გოდორ-ყურეები, გადააბრუნა ნავები და ზოგი ლამითაც ამოავსო. სულ ზარალი 10,000 მანათამდე იქნება.

ძველ-ყამიშის პირდაპირ (ზღვის ნაპირია, სადაც ცხოვრობენ მეთევზეები) დაამტვრია ერთი შეშით დატვირთული გემი, რომელიც სპარსეთიდგან ბაქოში მიდიოდა და დაარჩო გემზედ მოსამსახურე 6 კაცი, ორი მაშინათვე გამორიყა წყალმა და დანარჩენი ოთხი ამ სამის დღის წინად. ყველანი თათრები არიან.

30 მარტს ზიუდის კულტუკში, ს. პ. სახლში, თავი ჩამოირჩო ერთმა ურიამ—გვარად გოლშტეინმა. მიზეზი არავინ იცის ჯერ-ჯერობით, თუმცა ექიმის შემოწმებით გარდაცვალებული ჰკუაზედ შერყეული უნდა ყოფილიყო. სულ არ იქნებოდა ერთი კვირა, რაც გოლშტეინი ჩამოიყვანა ოდესიდამ ერთმა ბოლგარელმა ხიზილალის ვაჭარმა, იყიდა ხიზილალა და ეს დასტოვა მისაღებად- დამრჩვალს ჯიბეში უნახეს რამდენიმე თუმანი და წერილი ბოლგარულს ენაზედ, რომელიც ამ ენის უცოდინარობის გამო არ წაუკითხავთ.

მტკვარმა ძალიან იმატა, ზარალიც მოგვიტანა, თუ ამით მაინცა და მაინც იკმარა. აპრილის დამდეგსავე გადავარდა სოფელ აბდულიანის ახლო წყალი და წალეკა 3000 დესეტინა დათესილი მიწები; წყალი გადავარდნილა შირვანის მხარეზედ დ ჩადის აჯი-ქაბულის ტბაში. გამაგრებით ვგონებ ვერ გაამაგრეს, რადგან ძალიან ღრმა არის

ვატაგაჯანგანი

## გორის მაზრის თავად-აზნაურობის კრება

10 აპრილს გორში კრება ჰქონდა ამ მაზრის თავად-აზნაურობას. კრებაზედ საკმაოდ ბევრი თავად-აზნაურობა დაესწრო. თავმჯდომარეობდა თავად-აზნაურობის წინამძღოლი ი. დ. სულხანიშვილი, რომელმაც კრება დაწყებულად ნაშუადღევის პირველს საათზედ გამოაცხადა.

უწინარეს ყოვლისა წაკითხულ იქმნა სია გორის მაზრის იმ თავად-აზნაურთა, რომელთაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ თავად-აზნაურობის საქმის განსჯასა და არჩევანში. ამ სიაში ჯერ-ჯერობით მოხსენებული იყო მხოლოდ სამოც-დაცხრა თავადი და აზნაური. კრებამ ხმის უმეტესობით ეს სია კანონიერად იცნო და დაამტკიცა.

შემდეგ არჩეულ იქმნენ გორის ანასტასიას დედათა პროგიმნაზიის სამზრუნველოს საბჭოს წევრებად სამის წლის ვადით თ. ვ. გ. მაჩაბელი, თ. ს. ს. ამირაჯიბი და გ. დ. ლოლაძე.

არჩევანის დასასრულ გორის თავად-აზნაურობამ თავისთვისაც სასარგებლოდ დაინახა, რომ თავად-აზნაურობას შეეძლოს ანდერძით გადასცეს თავის შვილებს მამულები, რათა ეს მამულები თავად - აზნაურობიდგან სხვის ხელში არ გადადიოდეს და არ ნაწილ-ნაწილდებოდეს. კრებაზე გამოირკვა, რომ 50-მდე თავად-აზნაურთა ოჯახი სრულიად უმამულოდ და უთავშესაფაროდ არის დარჩენილიო. ამის გამო კრებამ გადასწყვიტა ეს საგანი კვლავ აღძრას განსაკუთრებულად მომავალ საგუბერნიო თავად-აზნაურთა კრებაზედ.

ამას გარდა, კრებამ განიხილა მამულ „სკრას“ საქმე, რომელიც 3,000 დღიურისაგან შესდგება და ამ ჟამად ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისად ირიცხება და დაინახა-რა სასარგებლოდ იქ სამეურნეო სასწავლებელი იქმნას დაარსებული, საჭიროდ სცნო სთხოვოს ამ ბანკის წევრთა საზოგადოებას, ესე მამული დამტკიცებულ იქმნას ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის სახელობაზედ და ან თუ თავად აზნაურობამ არ ინდომა, რომელსამე საზოგადო დაწესებულებას დაეთმოს, რომელსაც უფლება აქვს მამული შეიძინოს.

დასასრულ კრებამ მოისმინა თხოვნა დიმიტრისა და ლევან ალექსანდრეს ძეთა ციციშვილთა გვიშუამდგომლეთ უმაღლესის მთავრობის წინაშე, რომ თავადებად ჩაგვრიცხოს, ვინაიდგან ამისი უფლება გვაქვსო. კრებამ დაადგინა ეს შუამდგომლობა მომავალს საგუბერნიო თავად-აზნაურთა კრებაზედ შეიტანოს.

მ.

## უცხოეთი

**ინგლისი.** 6 აპრილს კვაკერებმა კრება მოიწვიეს ევროპის დიდთა სახელმწიფოთა მიერ ჯარის შემცირების საქმის განსახილველად. კრებას ბევრი პარლამენტის წევრი და საპოლიტიკო მოღვაწე დაესწრო. დაადგინეს: მთელს ინგლისში ქადაგება დაიწყონ სიტყვით თუ სხვაფრივ, რათა საზოგადოებას შთაუნერგონ სარგებლობა ჯარის შემცირებისა და შემდეგ პარლამენტს საერთო თხოვნა მისცენ და სთხოვონ, იმან იკისროს ამ საქმეში მაგალითის მიცემა. ვილიამ სტედმა განაცხადა, სხვათა შორის, რომ საერთაშორისო მორიგება ჯარის შემცირების შესახებ შესაძლებელია და განსახორციელებელი, თუ ინგლისი დასთანხმდა თავისის სამხედრო ფლოტის შემცირებასაო. ზოგიერთებმა სთქვეს, რომ ამ მორიგებას რუსეთის მთავრობა არ მიემხრობა.

---

როგორ შევქძლო ღირსეულად მიგელო ნაზარეველი; ან რა იცით, შენ და შენმა თანამოძმეებმა იმისი ფასი, უსამართლონი ხართ, უსამართლონი. გაბედულად წარმოსთქვა სარრამ.

— დაიჯერე, რომ ღირსეულად მივიღე და ნელ-საცხებელიც მივართვი შენს ნაზარეველს. ჭეშმარიტად გეუბნები, არა გჯერა? აი ეხლავე გიამბობ, როგორც იყო, თუმცა-კი მადლობაც არ გადამიხადა იმ უმადურმა ჩემი გულ-კეთილობისათვის.

— არაფერსა გთხოვ და ნურც რასმე მიამბობ, რადგან ვიცი შენი საუბრის განგრძობა უფრო გულს მომიკლავს. განა ეს არ კმარა, რომ მომაკვდავ შვილს დავყურებ და ვიტანჯები? ეხლა რაღა გინდა ჩემგან, რომ ეგრე მიშხამავ სიცოცხლეს? შენი გული მოწამეა, მოშა, რომ ამ ექვსის წლის განმავლობაში, რაც მე და შენ შევერთდით, ერთი ურიგო სიტყვა არ მიკადრებია შენთვინ, თუმცა-კი ყოველს წამში ლანძღვა-გინების ღირსი იყავი ჩემგან. ვითმენდი და ეხლა-კი მოთმინება აღარა მაქვს, მომშორდი, არ მინდა შენი სულელურის სიცილით ნაამბობის მოსმენა. სხვის სიკვდილს გულ-გრილად უყურებ იმ დროს, როდესაც შინ შვილი მომაკვდავი გყავს. შენა გაქვს გული, ან მამობრიული გრძნობა? თუ შენში რაიმე გრძნობაა, რატომ არ ჰფიქრობ ნაზარეველსაც ეყოლება მშობელი და რა მდგომარეობა'ში იქმნება ეხლა ის.

— მაშ შენა გგონია თავს მოვიკლავდი! ის არ კმაროდა, რომ ერთი კასრი ჯღანების დანალბობი წყალი ვუთავაზე შენს ნაზარეველს და ტანდაბანილი გავისტუმრე სასიკვდილოდ? ვითომ დამწყევლა: „რადგან ურწმუნო ხარ, ჩემს მეორედ მოსვლამდე იცოცხლეო.“ იცოცხლე, ის ლაზათიანად ამოიწუწა! ადამიანო, ვკითხე, შენა ხარ ღმერთი? ან თუ ღმერთი ხარ, როგორ მოგივიდა, რომ ეგრე შეგამკო ხალხმა-თქო. იმან ხმაც არ ამოიღო, თითქო მართლა დიდი ვინმე იყო. მეც ავიღე და სავსე კასრი ჰუჰყიანი წყალი გადავასხი თავზედ.

სარრა საშინლად გაიბრაზა, ნაზარეველისადმი ქმრის ასე მოქცევამ. ეს დღემდინ სათნოებით აღვსილი ქალი ამ წამში ისე შეიცვალა, რომ ვეღარ იცნობდით, თუ ეს, ის მშვიდი და წყნარი სარრა იყო, რომელიც ურიგო სიტყვასაც არ შეჰკადრებდა თავის ქმარს, სახეზე ალმური აენთო, კბილები საზარლად დააღრჭიალა, თვალებ-გაჯმოჰიმული მივარდა ქმარსა, ჩაავლო ხელი და თავ-განწირულის ხმით შესძახა: შეჩვენებულო, მოღალატე სატანავ; შენ მომიკალი შვილი, შენ. დამეკარგე აქედამ, თორემ კბილით დაგგლეჯავ, შენს სისხლს დავლევ, შე მხეცო, ბოროტო გულ-ქვა.

მოშა გაფითრდა, ხმა ვეღარ ამოიღო. ვინ იცის სარრა რას ჩაიდენდა, რომ რახილის ხმას არ შეეყენებინა.

— დედა, დედა ჩემთან... მიშველე...

— ვაიმე, შვილო, წარმოსთქვა აკანკალებულმა სარრამ და მივარდა შვილს, რომელსაც თვალები გადაეჭიმა და დედას შეჰყურებდა.

— დედა, დედა ჩემო, შენი ჭირიმე....

— აი შვილო, აქა ვარ, წყალი გინდა გენაცვალოს დედა?

ყმაწვილს ხმა აღარ ამოუღია ისევ დახურა თვალები და დაიწყო ჩქარი სულისთქმა.

მოშა უძრავად იდგა, თითქო გაქვავებულაო, თვალების მოძრაობაც-კი შეეყენებინა.

— არა, შეუძლებელია ჩემი აქ დარჩენა. ან მე უნდა ვიყო, ან შენ. არ შემიძლიან კაცის მკვლელს ვუმზირო, შენ მომიკალი შვილი; შენ მიაყენე შეურაცხება კეთილ ნაზარეველს და მე შენთან აღარ მედგომება. გამცილდი მეთქი, ბოროტოვ, ურწმუნოვ. ხელ-ახლავ მივარდა სარრა ქმარს.

— ხომ არ გაგიჟდი დედაკაცო? ჩემი სახლიდგან მე მაგდებ? შენ თითონ გამეცალე,საიდგანაც მოთრეულხარ, იქით გაეთრიე, შესძახა მოშამ და სისხლივით წითელი თვალები გადმოუბრიალა.

— კარგი, ძალიან კარგი, მე გავეცლები. ან როგორ მედგომება კაცის მკვლელის სახლში?

ამ სიტყვასთან ერთად თვალის დახამხამებაზე უმალესად წამოავლო ჩადრს ხელი, აიყვანა ავადმყოფი შვილი, გახვია შიგ და ფეხშიშველა შეშლილივით გავარდა კარში.

II

ხალხი, რომელსაც მიჰყავდათ ნაზარეველი, კიდეც მიუახლოვდნენ დანიშნულს ალაგს, რომ ამ დროს მათს გუნდში გაერია ერთი დედაკაცი, რომელიც გულ-ამომჯდარი სტიროდა. ამ ქალს ეტყობოდა დიდი მანძილი სირბილით უნდა გამოევლო, რადგან ფეხებიდგან სულ სისხლი გადმოსდიოდა და საშინლად იყო აღელვებული.

არც-კი შეუჩნევიათ, ეს დედაკაცი ისე ამოუდგა გვერდით ერთს ხანში შესულ ქალს, რომელსაც ხელ-და-მხარ ორი კაცი მიჰყვებოდა და ანუგეშებდნენ, მაგრამ მის თვალებს ცრემლის ნაკადული შეუწყვეტლად გადმოსდიოდა.

-- ვაიმე, შვილო, რას მოვესწარი! წარმოსთქვა ხანში შესულმა მანდილოსანმა.

— ვაიმე შვილო, რას მოვესწარი იმავე კილოთი განიმეორა ახლად მოსულმა დედაკაცმა.

ამ ორმა ერთისავე გრძნობით სიტყვების მთქმელმა ქალებმა მოულოდნელად შეაშტერეს თვალები ერთმანეთს.

— შენ, რას სტირი შვილო? ჰკითხა პირველმა მეორეს და კიდევ უფრო დააშტერა თვალები.

— შვილს ქალბატონო, შვილს. მომიკვდა ჩემი რახილი, მამამ მომიკლა მამამ, არ აღირსა ნაზარეველის ნახვა, არ შემიბრალა ურწმუნომ. დამნაშავეა ის, დამნაშავის ცოლი ვარ ცოდვით დატვირთული, მაგრამ მაინც წავალ, ვნახავ ნაზარეველს. მე მორწმუნე ვარ და მინდა მეც დამსაჯოს ხალხმა. მასწავლეთ თქვენი ღვთის გულისათვის საით წაიყვანეს ნაზარეველი? სიჩქარით ეკითხებოდა თვალ-ცრემლიანი დედაკაცი.

— საბრალოვ, შენც ჩემს ცეცხლში ყოფილხარ. აჰა შვილო თვით ნაზარეველი. ხედავ რა უყვეს? მოითმინე, ღმერთი მრავალ მოწყალეა. მდუღარე ცრემლის ფრქვევით მიუგო მანდილოსანმა.

— ჩემ ცეცხლ'შიო? განა ნაზარეველი თქვენი შვილია? ღმერთო, ეს რა მესმის! არა, მე აღარ ვიტირებ რახილს. ის დედა, რომელსაც მოსტაცეს ნაზარეველი, მე მანუგეშებს, მოთმინებას მირჩევს და ღვთის მრავალ მოწყალეობით მაიმედებს.—შეუძლებელია, არა ვსტირი. გონება არეული ლაპარაკობდა საბრალო დედაკაცი, მაგრამ თითქო რაღაცა მოაგონდაო უცებ წამოილაპარაკა: დამნაშავის ცოლი ვარ, ცოდვით დატვირთული. სთქვა ეს და გაექანა ნაზარეველისაკენ.

ხალხს უნდოდა შეეჩერებინა დედაკაცი, მაგრამ ამაოდ, ის მივიდა მიმავალ ნაზარეველთან, დაეცა მიწაზედ, წინ დაიდო თავისი მიცვალებული შვილი და შეშლილის კილოთი შესძახა:

ზაო. ამის პასუხად გაზ. „Нов. Время“-ს კორესპონდენტმა სთქვა, რომ რუსეთი მშვიდობიანობას არის მოწადინებული, ეს არა ერთ-გზის დაამტკიცა კიდეც და ამიტომ არავითარი ეჭვი არ უნდა გვქონდეს იმისის გულ-წრფელობისაო. შედარებით რომ ვსთქვათ, რუსეთი სხვა სახელმწიფოებზედ ნაკლებ არის შეიარაღებულიო. რუსეთი მშვიდობიანობას არის მოწადინებული, რათა თავისი ძალა და ღონე თავისს ეკონომიურსა და კულტურულს განვითარებას მოახმაროსო.

—

ამას წინად ლონდონის სასამართლოს სერ ჯონ ბრიჯის წინაშე წარსდგა ორი ანარხისტი, მენის, რომელსაც პარიჟის სასტუმროს „ვერის“ აფეთქება ჰბრალდებოდა და რიკენი, რომელსაც, როცა მენიე დაუპატიმრებიათ რკინის გზის სადგურზედ, პოლიციელებს მივარდნია და მისი განათავისუფლება სდომებია. სამართალში მიცემული იყო რიკენი პოლიციის წინაღმდეგობისათვის და მიესაჯა ხუთის თუმნის ჯარიმის გადახდა, ან ერთის თვით დაპატიმრება. ამ განაჩენის გამოცხადებამდე მოსამართლემ საჭიროდ დაინახა თავისი აზრი გამოეთქვა ანარხიზმის შესახებ: „რიგენს თავი მოსწონს იმითიო, სთქვა ჯონ ბრიჯმა, რომ ანარხისტი ვარო. არ მესმის, როგორ უნდა მოუვიდეს ვისმე აზრი ამითი თავ-მოწონებისა? ანარხია ხომ უარ-ჰყოფს კანონსაცა და სახელმწიფოსაც, კანონი და სახელმწიფო-კი საშუალებაა, რომელიც უძლურს იცავს და იფარავს ძლიერისაგან, მართალს—უსამართლობისაგან. არ მესმის, როგორ არ უნდა გაეგებოდეს ცოლიანს კაცს მნიშვნელობა დაკაცის მფარველ კანონისა. ამასთან დამნაშავემ იცოდეს, მე ვსჯი არა იმიტომ, რომ ანარხისტია ე. ი. არა ამ გვარ აზრებისათვის, არამედ მარტო იმის გამო, რომ მან გაჰბედა დარღვევა არსებულის კანონებისა და პოლიციას წინააღმდეგობა გაუწიაო“.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

„ივერიის მე-76 №-ის „ფოსტაში“ გამოცხადებულია სურვილი იმის შეტყობისა, თუ რა შემოსავალ-გასავალი იყო 9-ს და 23-ს იანვარს ამა წლისა წარმოდგენეებიდგან ახ. სენაკში. თუმცა მას შემდეგ, რა-კი ცნობა იყო დაბეჭდილი ამ საგნის შესახებ „ივერიის“ მე-20 №-ში საჭირო არ არის კიდევ მიწერ-მოწერა, მაგრამ თუ ეს დიდად საინტერესოა ვილაც მოსესთვის, სიამოვნებით ვაცხადებ, რომ ორის წარმოდგენიდგან შემოვიდა ას-ორი მანეთი (102 მ.) დაიხარჯა: ჩითი და შპალიერი სცენისთვის 8 მ., ფიცრები, რეიკები და ბურჯები იატაკისათვის 7 მ., დურგალს ხელ-ფასი 5 მ., 25 კაპ. ლურსმანი 1 მ.. სანთელი და ნავთი 3 მ., პარიკმახერს (სამტრედიიდგან მოთხოვნილს) 11 მ., 20 კ. ტელეგრამისა მუსიკის ნება-რთვისათვის 1 მ., 70 კ. აფიშებისა, ბილეთებისა და საწერ-ქაღალდისა 10 მ., 5 კ. თეატრის დარაჯს 1 მ., მუშებს სკამებისა და ნივთების მისატან-მოსატანი 1 მ., მეურმეს სცენის მასალის მიტან მოტანისა 1 მ., შეშა თეატრის გასათბობად რეპეტიციისა და წარმოდგენის დროს 1 მ., ფარდის ბაწრები 50 კ., კლიტე გასაღები თეატრისთვის 50 კ., განგებ შეკერილი კინტოსთვის განიერი შარვალი 1 მ., მუსიკის დამკვრელ შეგირდებს თეთრი პური 80 კ., კასის შრომისა 2 მ., 40 კ. ბილეთების მარკებისა 11 მ., 60 კ. მოთამაშე ყმაწვილებმა ჩაიბარეს 34 მ., სულ 102 მ.,

ამ ოცდა თოთხმეტი მანეთიდგან მოთამაშეებმა თავიანთ ნება-ყოფლობით გადასცეს ბლაღოჩინს ახალსენაკში ახლად აღსაშენებელ ეკკლესიისთვის ათი მანეთი (10 მ.,)

თუმცა ამ წარმოდგენების თაოსნობა მე მამანდეს ახალგაზდა ყმაწვილებმა, მაგრამ ეს მოვალეობა ვიკისრე იმ პირობით, რომ შესავალ გასავალზედ მათვე ჰქონოდათ ყურის გდება, რაც იმათ კარგათ და პატიოსნად აღასრულეს

მ. დიდებულიძე

# დეპეშა

12 აპრილი

**პეტერბურგი.** მთავრობის მიერ ნაუწყები ამბავი: არა ერთხელ გამხდარა საჭიროდ შეცვლილიყო სასამართლოს წესდებანი; შეცვლამ და შევსებამ აცილებითად შეუცვალა სახე სასამართლო წეს-წყობილებას, ერთმანეთის საწინააღმდეგო ერთი და იგი წესი დაადგინა, არა-სასურველად ააჭრელა და გაართულა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც გამოსარკვევია რომელს სასამართლოს უნდა ექვემდებარებოდეს ესა თუ ის საქმე, როგორ უნდა იქმნას კვლავ საჩივარი აღძრული სასამართლოს განაჩენისა და გარდაწყვეტილებისა გამო; ამას გარდა კანონ-დებულების ხმარებამ ცოტ-ცოტა განამჟღავნა მისნი კერძო ნაკლულევანებანი, არ შესაბამნი კანონ-მდებელის სურვილისა. ახლა აუცილებლად საჭირო შეიქმნა, კერძო ცვლილებათა შემდეგ საერთოდ წეს-რიგში იქმნას მოყვანილი სასამართლოს უწყებანი და შემუშავდეს პროექტი სასჯულო საქმის განკარგებისა, გაერთფეროვანებისა და განწესრიგებისა. ამ სურვილის განხორციელება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სრულიად გადასინჯულ იქმნა სამოსამართლო ნაწილის წესები, საზოგადო გეგმისა და ხელმძღვანელ აზრთამებრ, რომლის დროსაც დაცულ, შენახულ და განვითარებულ უნდა იქმნას ყოველივე ჭეშმარიტად სასარგებლო და შეიცვალოს და გაუქმდეს ყოველივე ის, რაც-კი ცხოვრებამ არ გაამართლა. სასჯულო საქმეთა სამინისტროს მოხსენებისამებრ, უმაღლესად ნაბრძანებია: სასჯულო საქმეთა სამინისტროსთან ამა სამინისტროს მმართველის თავმჯდომარეობით შესდგეს კომისია, რომლის წევრებადაც უნდა იყვნენ: სასჯულო საქმეთა მინისტრის ამხანაგი, გამმიჯვნელ ნაწილის მმართველი, სენატორები, სასჯულო დეპარტამენტების დირექტორები, ობერ-პროკურორნი, კონსტიტუციის ორი წევრი, შინაგან საქმეთა, ფინანსთა სამინისტროები და სახელმწიფო კანცელარიის წარმომადგენელნი და რომელშიაც უნდა მიწვეულნი იქმნენ ყველა ისინი, რომელთა მიერ ამ საქმეში მონაწილეობის მიღებაც სასარგებლოდ იქმნება დანახული.

სახელმწიფო საბჭომ მოიწონა ფინანსთა სამინისტროს წინადადება სპირტის და არაყის საზღვარ-გარეთ გატანის წესების შეცვლის შესახებ.

**ლონდონი.** ანარხისტმა ფერრარიმ სასამართლოს წინაშე განაცხადა, რომ განზრახვა მქონდა სამეფო ბირჟა ამეფეთქებინაო.

**ლისაბონი.** გუშინ 104 კაცი გახდა კვლავ ავად ხოლერინით და სამი გარდაიცვალა. პორტუგალიის მთავრობა სცდილობს ამ სენის გავრცელების ამბავი გარეთ არ გავიდეს და კერძო დეპეშებს აპატიმრებს.

**ვენა.** სოციალური ამბოხება მოედო მთელს ალფელდს. ვაზარგელში ადგილობრივ პოლიციის ნახევარი ნაწილი მეამბოხეთ მიეკერძა; ჯარია გაგზავნილი.

რუსეთთან დასადებ სავაჭრო ხელშეკრულობაში მხოლოდ სარედაქციო ცვლილებანი იქმნა შემოღებული მერმისში გაუგებრობის ასაცილებლად.

პეტერბურგის ბირჟა, 12 აპრილი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,47 | 7,50 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 149¼ | 150 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 244½ | — ,, | — ,, |
| —მეორისა | — ,, | — ,, | 221¾ |
| 4% მესამე სესხისა | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — ,, | — ,, | 193 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% | — ,, | — ,, | 99 |
| 5% | — ,, | — ,, | 101⅝ |
| ქუთაისის ბანკის 6% | — ,, | — ,, | 99 |
| 5% | — ,, | — ,, | 101⅝ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98½ | — ,, | — ,, |

# განცხადებანი

**გამგე კომიტეტს „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სასაზოგადოებისას შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“** პატივი აქვს აცნობოს წევრთა ამა საზოგადოებისას, რომ **წლიური კრება საზოგადოებისა დანიშნულია ამ წლის მაისის 14-ს, შვიდს საათზე საღამოს:** ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ბანკის სადგომში.

კრების განსახილველი საგნები:

1) საზოგადოების მოქმედების ანგარიში 1-ს აპრილიდგან 1893 წლისა 1-ს აპრილამდის 1894 წლის.

2) ხარჯთ-აღრიცხვა 18⁹⁴/₉₅ წლისა

3) მოხსენება იმ განცხადების გამო, რომელიც საზოგადოების ზოგიერთ წევრთ შემოიტანეს კომიტეტში იმის თაობაზედ, რომ გამგე კომიტეტი უკანონოდ განმარტებს § 4 საზოგადოების წესდებისას და იმას, რომ საჭიროა საზოგადოდ მთელი ეს წესდება ხელ-ახლად განხილულ იქმნასო.

და 4) არჩევა გამგე კომიტეტის წევრთა. (3—1)

---

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

**გ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი**,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი **მ. ტურბოვიჩი** 12½—1 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი**, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ა. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7½ საათამდის.

**ე. ი. ფრანცუზი**, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

---

**50 руб.** и больше **награды** получитъ тотъ, кто немедленно дастъ самыя точныя свѣдѣнія о послѣднемъ мѣстопребываніи Рудольфа Петровича Кауца, или доказательство его смерти. Рудольфъ Кауцъ до 1867 г. проживалъ въ Царствѣ Польскомъ, а около 1879 г. былъ на Кавказѣ.

—

Письма адресовать: Фабрика В. Кауца. Варшава, Эриванская, № 5.

---

დაიბეჭდა და ისყიდება

სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები

**„პლატონ იოსელიანი“**

ფასი სამი შაური

---

—უფალო დამნაშავის ცოლი ვარ, აჰა ჩემი როხილი, რომელიც მამამ მომიკლა. არ ღირსა, უფალო, შენი ნახვა, თორემ შენ განმიკურნებდი ჩემს შვილს. დამნაშავეა ის, მან შეურაცხჰყო შეჩვენებულმა, დამსაჯე უფალო, ცოლს ეკითხება ქმრის ცოდვა, შემრისხე გევედრები, დამსაჯეთ ხალხნო მორწმუნე ვარ, მორწმუნე.

ხალხი შედგა. გაჩერდა თვით ნაზარეველიც და ბრწყინვალე თვალები მიაპყრო ყმაწვილის მიცვალებულ სახეს, რომელსაც თვალები ღია დარჩენოდა და გამხმარ ტუჩებ-შუა მოუჩანდა ლამაზად ჩამწკრივებული პაწაწკინა კბილები. ეტყობოდა, გულქვათაც-კი სიბრალული მოჰგვარა ამ ბავშის დახედვამ. ყველამ ერთხმად წამოიძახეს: „საწყალი, რა ლამაზია!“

რამდენიმე წუთის შემდეგ ნაზარეველის სახეს საოცარი ცვლილება დაეტყო, სახე ერთი ათად გაუელვარდა, ბრწყინვალე თვალები ზეცას მიაპყრო, შემდეგ ძირს დაიხედა და მომხიბლავის ტკბილის ხმით წარმოსთქვა: „სარრა, აღზდეგ სარწმუნოება მან შენმან გაცხოვნა შენ და, განკურნა ასული შენი.“

სარრამ მაღლა ახედვა ვერც-კი მოასწრო, რომ ყმაწვილმა წამოიძახა: დედა, დედა წყალი მინდა, ჩემო დედა.

ხალხს, ენა დაება გაკვირვებისაგან, უნდოდათ მივარდნოდნენ სარრას და ფეხით გაესრისათ, მაგრამ თითქო განგებამ მოძრაობა დაუკარგა ყველას. იდგნენ გაშტერებულები და შეჰყურებდნენ. სიხარულისაგან მტირალი სარრა რა ნაირად იხუტებდა გულში თავის პატარა გამხდარ გოგონას, მაგრამ თვალი ნაზარეველისათვის ვერ მოეშორებინა.

### III

ნაზარეველის სხვა სასწაულთა შორის, რახილისა და სარრას ამბავიც ჩქარა მოედო მთელს სოფლებს. აგრეთვე იმასაც ამობდნენ, რომ, მოშა იმ დღიდგან აღარავის უნახავს, არ იციან სად გადიკარგა და, მკვდარია თუ ცოცხალიო.

სამოცმა წელმა განვლო მას შემდეგ. ერთ მშვენიერ მაისის დილას, მოხუცი დედაკაცი დერეფანში იჯდა და მატყლსა სჩეჩდა. მის გარეშემო პატარა ბოვშებს თავიანთი სათამშოები მოეტანათ და შეექცეოდნენ. ერთი ხანში შესული კაცი, სკამ-ლოგინზე მხართეძოზე იყო წამოწოლილი, მეორე უფრო ახალგაზდა იქავე იჯდა და თოხს ტარს უკეთებდა ამ დროს ეზოში მწოლმა თოლიამ *) ყეფა ასტეხა და გაექანა ჭისკრისაკენ.

— ნეტა ვინ არის ეს მოხუცი. წარმოსთქვა სკამ-ლოგინზე მყოფმა და თანაც წამოიწია ასადგომად. ყველამ ერთად გაიხედეს ჭისკრისაკენ.

— შაფათა, შენს გაზრდას წადი გაუღე ჭისკარი და ძაღლიც მოაშორე. ფეხი მტკივა და მანამ მე იქ მივიდოდე, ძაღლი შესჭამს ვიღაცაა, უთხრა იქვე მოთამაშე პატარა ბიჭს სკამლოგინზე მჯდომმა.

— მე ბატის მეშინია; ბებიამ მითხრა გიკბენსო მიუგო ყმაწვილმა და განაგრძო თამაში.

— ელო, აბა შენ წადი. ბრძანების კილოთი უთხრა იმავემ, თოხის ტარის მკეთებელს, რომელიც აქნობამდინ ყურს არ იბერტყავდა, მაგრამ ახლა-კი წამოდგა და ზარმაცად წავიდა ჭისკრისაკენ. მივიდა ჭისკართან, მაგრამ სტუმარი უკვე გაბრუნებულიყო და მიმავალი რაღასაც ბუტბუტებდა.

— ვინა ხარ ბაბუა, ან რა გესაქმება? დაუძახა ელომ, მაგრამ მოხუცმა თითქო ვერ გაიგონაო, პასუხი არ მისცა.

ელო მარდად გადახტა ჭისკარზე, დაუარა თავი და წინ დაუხვდა მოხუცს, რომელსაც ათასნაირად დაღმეჭილი პირის კანი, შავად დაჰკროდა ძვლებზე; კვინიხში ჩაკარგული თვალები სისხლივით არეული ჰქონდა, წელში მოკუტული დაბჯენოდა ყავარჯენს და თავ-დახრილი სიჩქარით მიაბიჯებდა ჩხირივით შემხმარ წვივებს, რომელიც ნახევრად შიშველა მოუჩანდა.

— რა გესაქმებოდა, მოხუცო, ჩვენთან ან ვინა ხარ? განუმეორა ელომ.

— ურწმუნო მოშა. მხოლოდ ეს ორი სიტყვა იყო პასუხად. დანარჩენ კითხვებზე მოხუცს ხმა არ ამოუღია, ისე გაუდგა გზას...

ეს იყო ის „ურწმუნო მოშა“, რომელმაც ვერ იცნო ნაზარეველი.

განდეგილი

*) თოლია ძაღლის სახელია.